განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის შესახებ:
ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი:
ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს რეგლამენტის პროექტი:

აქტიური საპარლამენტო ცხოვრების კვალდაკვალ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი, როგორც საპარლამენტო ცხოვრების განმსაზღვრელი და მომწესრიგებელი ძირითადი კანონი, მუდმივად ცვლილებებს განიცდის. საპარლამენტო მმართველობის მოდელზე სრულად გადასვლის პარალელურად, წლების განმავლობაში რეგლამენტში არაერთი ცვლილება იქნა შეტანილი. რეგლამენტის მოქმედი რედაქცია პარლამენტმა 2018 წელს მიიღო. მას შემდეგ, საპარლამენტო პროცედურების დახვეწის საჭიროებიდან გამომდინარე, რეგლამენტში სხვადასხვა ცვლილება შევიდა. განხორციელებული ცვლილებებისა და პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების შედეგად, რეგლამენტში შინაარსობრივი ცვლილებების შეტანის საჭიროებასთან ერთად, გამოიკვეთა, რომ მისი სტრუქტურა ახლებურ სისტემატიზაციასა და გაუმჯობესებას მოითხოვს. შესაბამისად, მიზანშეწონილია ახალი რეგლამენტის მიღება, რომლითაც პარლამენტის საკანონმდებლო, საზედამხედველო და წარმომადგენლობითი ფუნქციები ისე გაუმჯობესდება, რომ უზრუნველყოფილი იქნება არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და შესაბამისი სუბიექტების ეფექტიანი მუშაობის ხელშეწყობა.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად რეგლამენტის მიღების აუცილებლობა:

„ა.ა.ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საკითხები, მათი მიზნიდან და არსიდან გამომდინარე, პარლამენტის ახალი რეგლამენტის მიღებას მოითხოვს.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი შედეგები:

პარლამენტის ახალი რეგლამენტის მიღებით აღმოიფხვრება მასში არსებული შინაარსობრივი ხარვეზები, დაზუსტდება და ახლებურად მოწესრიგდება საპარლამენტო საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ამასთანავე, დაიხვეწება რეგლამენტის სტრუქტურა. კერძოდ, რეგლამენტი საკანონმდებლო ტექნიკის გაუმჯობესების მიზნით კარებად და თემატურ თავებად დაიყოფა. ახლებური სტრუქტურა გააადვილებს რეგლამენტის აღქმას და მას სახელმძღვანელოდ უფრო მოქნილს გახდის.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი:

- პარლამენტის მოქმედი რეგლამენტისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ თავებად და მუხლებად არის დაყოფილი, ახალი რეგლამენტის პროექტი შედგება X კარისა და XXXI თავისგან, რომლებიც ლოგიკური თანამიმდევრობითაა

დაჯგუფებული. ინიციირებულ პროექტში საკითხები შინაარსობრივი თანამიმდევრობის მიხედვით არის დალაგებული. რეგლამენტი იწყება ზოგადი დებულებებით. მათ მოსდევს ნორმები, რომლებითაც წესრიგდება საპარლამენტო სუბიექტების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხები, პარლამენტის სესიისა და პლენარული სხდომის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხები, საკანონმდებლო პროცესის სტადიები და თავისებურებები, საპარლამენტო კონტროლთან დაკავშირებული საკითხები, თანამდებობის პირთა განწესების, იმპიჩმენტისა და თანამდებობიდან გათავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები, პარლამენტის განსაკუთრებული პროცედურები, რეგლამენტის დარღვევისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის მექანიზმები და პარლამენტის აპარატის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები. რეგლამენტი მთავრდება გარდამავალი და დასკვნითი დებულებებით.

- **რეგლამენტის პროექტის მე-5 მუხლით** დაზუსტდა და საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად მოწესრიგდა ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის გამართვასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომა იმართება პარლამენტის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა, რომელსაც ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი. ამასთანავე, განიმარტა, რომ, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს პრეზიდენტმა არ განსაზღვრა პირველი სხდომის გამართვის თარიღი, ახალარჩეული პარლამენტი პირველ სხდომაზე იკრიბება პარლამენტის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებიდან მე-10 დღეს, როგორც წესი, დღის 12 საათზე. ასევე დაზუსტდა, რომ ახალარჩეული პარლამენტის პირველ სხდომას ხსნის და პარლამენტის თავმჯდომარის არჩევამდე უძღვება სხდომაზე დამსწრე უხუცესი არჩეული პარლამენტის წევრი.
- **რეგლამენტის პროექტის მე-8 და მე-21 მუხლები** პარლამენტის თავმჯდომარეს, სხვა უფლებამოსილებებთან ერთად, ანიჭებს უფლებამოსილებას, დაამტკიცოს პარლამენტის წევრის მოწმობისა და სამკერდე ნიშნის ნიმუშები და აღწერილობები, აგრეთვე ბრძანებით შექმნას ინტერფრაქციული ჯგუფი.
- **რეგლამენტის პროექტის მე-3 მუხლით** ახლებურად მოწესრიგდა საპარლამენტო ჯილდოებთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, პარლამენტის საპატიო მედლით ჯილდოვდება საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქე საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ხოლო პარლამენტის სამკერდე ნიშნით – პარლამენტის აპარატის თანამშრომელი პარლამენტის საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის.
- **რეგლამენტის პროექტის 22-ე მუხლი** აღარ ითვალისწინებს პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენასთან ერთად სამოქმედო გეგმის წარდგენის ვალდებულებას. პარლამენტის საკანონმდებლო და საზედამხედველო საქმიანობები საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილია და გაუმართლებელია, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ თავის ანგარიშში პარლამენტის საქმიანობის გეგმა დასახოს. ამასთანავე, **მე-46 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით** დგინდება კომიტეტის თავმჯდომარის ვალდებულება,

ყოველი წლის იანვრის ბოლომდე პარლამენტის თავმჯდომარეს წერილობით წარუდგინოს კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში, რომლის საფუძველზედაც პარლამენტის თავმჯდომარე ადგენს პარლამენტის საქმიანობის ერთიან წლიურ ანგარიშს.

- **რეგლამენტის პროექტის 31-ე მუხლით** ახლებურად ჩამოყალიბდა ზოგიერთი კომიტეტის სახელწოდება, კერძოდ: აგრარულ საკითხთა კომიტეტს ეწოდება სოფლის მეურნეობის კომიტეტი; დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს – ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი; თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს – თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტი; დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტს – დიასპორის კომიტეტი; რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტს – რეგიონული პოლიტიკის კომიტეტი; საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს – საპროცედურო საკითხთა კომიტეტი.
- **რეგლამენტის პროექტის 38-ე მუხლით** ახლებურად მოწესრიგდა კომიტეტის სხდომის გამართვასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი. კერძოდ, დაზუსტდა, რომ კომიტეტის სხდომების გამართვის პერიოდულობას განსაზღვრავს კომიტეტი, მაგრამ სასესიო პერიოდში უნდა გაიმართოს თვეში არანაკლებ ერთი სხდომისა. კომიტეტის სხდომა შეიძლება გაიმართოს კომიტეტის სხდომის გამართვის თარიღისა და დღის წესრიგის გამოქვეყნების დღიდან არაუადრეს მე-2 კალენდარული დღისა. ასევე დაზუსტდა შემთხვევები, რომლებზედაც აღნიშნული ვადა არ ვრცელდება. ეს შემთხვევებია: კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა, კანონპროექტის გამარტივებული წესით განხილვა, საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების განხილვა, აგრეთვე კომიტეტის სხდომის იმავე დღისთვის გადადება. **იმავე მუხლის მე-17 პუნქტის** თანახმად, კომიტეტის სხდომა შესაძლებელია გაიმართოს მორიგი სასესიო კვირის იმ დღეებში, როდესაც პარლამენტის პლენარული სხდომა არ იმართება.
- **რეგლამენტის პროექტის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტით** დაზუსტდა ის საკითხები, რომლებიც პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კომიტეტის მიერ განხილვის გარეშე განიხილება. ეს საკითხებია: თანამდებობის პირის არჩევის, დროებითი საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების შექმნის, საქართველოს მთავრობისთვის ნდობის გამოცხადების, საქართველოს პრეზიდენტის არჩევის, თანამდებობის პირის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებისა და რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა საკითხები.
- **რეგლამენტის პროექტის 47-ე მუხლით** ახლებურად მოწესრიგდა კომიტეტის თემატური მომხსენებლის ინსტიტუტი. კერძოდ, თუ რეგლამენტის მოქმედი რედაქციით კომიტეტი ვალდებული იყო კანონპროექტზე თემატური მომხსენებელი დაენიშნა, რეგლამენტის ახალი რედაქციით ეს ვალდებულება უქმდება და თემატური მომხსენებლის განსაზღვრა კომიტეტის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული.
- **რეგლამენტის პროექტის 48-ე მუხლის თანახმად,** კომიტეტი აღარ არის ვალდებული, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის, სამუშაო შეხვედრების

ოქმები. ეს ცვლილება, ერთი მხრივ, შეამცირებს საპარლამენტო საქმიანობასთან დაკავშირებული ფორმალური ვალდებულებების რაოდენობას, ხოლო მეორე მხრივ, სამუშაო ჯგუფის მუშაობას უფრო მოქნილსა და ეფექტიანს გახდის.

- ცვლილებები შეეხება პარლამენტის სათათბირო ორგანოებს **(რეგლამენტის პროექტის VIII თავი)**. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოები საკონსულტაციო ფორმატით ფუნქციონირებდნენ, ისინი ფაქტობრივად კომიტეტების ფუნქციებს ითავსებდნენ, რაც არ შეესაბამებოდა მათ სამართლებრივ სტატუსს. აქედან გამომდინარე, გაუქმდება გენდერული თანასწორობის, ღია მმართველობისა და ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოები. თუმცა, ამის საპირწონედ, დაიხვეწა პარლამენტის „სხვა დროებითი კომისიების“ საქმიანობის მარეგულირებელი ნორმები. აღსანიშნავია, რომ, არსებული ნორმების სირთულიდან გამომდინარე, დროებითი კომისიის ფორმატი ფაქტობრივად არ გამოიყენებოდა. დროებით კომისიასთან დაკავშირებული ნორმების ახლებურად განსაზღვრა კი შესაძლებელს გახდის, რომ საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები კოლეგიურად, საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული დროებითი კომისიის ინსტრუმენტის გამოყენებით იქნეს შესწავლილი.
- **რეგლამენტის პროექტის 83-ე მუხლით** დადგინდა, რომ საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზში სივრცეების სექტორებად დაყოფისა და სხდომათა დარბაზში პირთა დაშვების წესი განისაზღვრება პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.
- **რეგლამენტის პროექტის 82-ე მუხლით** დაზუსტდა პარლამენტის პლენარული სხდომების გამართვის საათები. ახალი რედაქციის თანახმად, პარლამენტის სხდომის გამართვის საათებია 12:00–21:00. ამასთანავე, პარლამენტის გადაწყვეტილებით შესაძლებელი იქნება პლენარული სხდომის 21:00 საათის შემდეგ გაგრძელება განსახილველი საკითხის ამოწურვის მიზნით.
- საპარლამენტო პრაქტიკამ აჩვენა, რომ საპარლამენტო სუბიექტები ხშირად ბოიკოტის მექანიზმს არაკეთილსინდისიერად, პლენარული სხდომის გაცდენის არასაპატიოდ ჩათვლის თავიდან ასაცილებლად იყენებდნენ. მიუხედავად მოქმედი რედაქციის ნორმისა, რომ ბოიკოტი განსახილველ საკითხს ეხება, საპარლამენტო სუბიექტები აცხადებდნენ ზოგად ბოიკოტს პლენარული სხდომების კვირის, ზოგჯერ კი – მთლიანად სასესიო პერიოდის მიმართ. შესაბამისად, საჭირო გახდა აღნიშნული მექანიზმის კიდევ უფრო დაზუსტება. კერძოდ, განისაზღვრა, რომ ბოიკოტი შეიძლება გამოცხადდეს არა ზოგადად პლენარული სხდომის, არამედ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული კონკრეტული საკითხის მიმართ.
- **რეგლამენტის პროექტის 88-ე მუხლით** მოწესრიგდა და დეტალურად განისაზღვრა პოლიტიკური დებატების პროცესში პარლამენტის წევრთა სიტყვით გამოსვლის თანამიმდევრობა.
- **რეგლამენტის პროექტის მე-100 მუხლი** ეხება საკანონმდებლო წინადადების ინსტიტუტს, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს საპარლამენტო პროცესში უშუალოდ მონაწილეობის შესაძლებლობას ანიჭებს. პარლამენტში შესული საკანონმდებლო წინადადების პარლამენტის ყველა წევრამდე მისვლისა და პარლამენტის საქმიანობის რაციონალიზაციის მიზნით საკანონმდებლო წინადადება პარლამენტის ყველა წევრს გადაეცემა. მათ საკანონმდებლო წინადადების მიღებიდან 1 თვის ვადაში შესაძლებლობა ექნებათ, მასზე

დაყრდნობით პარლამენტს წარუდგინონ საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის ავტორადაც საკანონმდებლო წინადადების ავტორი მიეთითება.

- **რეგლამენტის პროექტის 102-ე მუხლით** ახლებურად მოწესრიგდა კანონპროექტის გამარტივებული წესით განხილვის პროცედურა. კერძოდ, პარლამენტის ბიუროს მიერ კანონპროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან კანონპროექტის განხილვის დაწყებისა და დასრულების ვადები აღარ გავრცელდება კანონპროექტის გამარტივებული წესით განხილვაზე.
- **რეგლამენტის პროექტის 148-ე მუხლის მე-9 პუნქტით** განისაზღვრა, რომ პარლამენტის წევრის კითხვას პასუხი იმავე მოწვევის პარლამენტში უნდა გაეცეს, რაც იმას გულისხმობს, რომ პარლამენტის წევრის პასუხგაუცემელი კითხვა მომდევნო მოწვევის პარლამენტს არ გადაეცემა.
- ცვლილებები განხორციელდა პარლამენტის საზედამხედველო საქმიანობის ნაწილშიც. კერძოდ, წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით უქმდება მინისტრის საათი, რომელიც არ არის საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული საზედამხედველო ინსტრუმენტი და რომელიც, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, საპარლამენტო კონტროლის არაეფექტიანი მექანიზმი იყო. ამის სანაცვლოდ, ახალი რეგლამენტის პროექტით იზრდება ინტერპელაციების გამართვის ინტენსივობა. კერძოდ, **რეგლამენტის პროექტის 149-ე მუხლის მე-5 პუნქტით** განისაზღვრა, რომ, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ინტერპელაცია გაიმართება მორიგი სესიის პლენარული სხდომების ყოველ კვირაში, რაც პარლამენტის წევრებს შესაძლებლობას მისცემს, პლენარული სხდომების ყოველ კვირაში ჰქონდეთ საშუალება, კონკრეტულ შეკითხვებზე პასუხები მოისმინონ საქართველოს მთავრობის ნებისმიერი წევრისგან, აგრეთვე სხვა ანგარიშვალდებული სუბიექტებისგან.
- ცალკე თავებად **(IX და X თავები)** ჩამოყალიბდა დროებითი საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების მომწესრიგებელი ნორმები. დროებითი საგამოძიებო კომისიის ნაწილში ცვლილება შეეხო საგამოძიებო კომისიის თანამდებობის პირებს. კერძოდ, დროებითი საგამოძიებო კომისიის თანამდებობის პირად, ნაცვლად ამ კომისიის მდივნისა, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე განისაზღვრა. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მოქმედ რედაქციაში სხვა დროებით კომისიებთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელ ნორმებში იყო მითითება დროებითი საგამოძიებო კომისიის ნორმებზე, წარმოდგენილი ცვლილებით კი დეტალურად განისაზღვრა სხვა დროებითი კომისიის შექმნის წესი, აგრეთვე მისი უფლებამოსილებები და საქმიანობის წესი, რაც შესაძლებლობას იძლევა, რომ დროებითი კომისიის ფორმატი გამოყენებულ იქნეს როგორც კონკრეტულ თემაზე მოკვლევის ჩასატარებლად, ისე ცალკეული თემების კოლეგიური წესით დამუშავებისთვის.
- წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტი აღარ ითვალისწინებს თემატური მოკვლევის ინსტიტუტის არსებობას. თემატური მოკვლევა ფორმალური ხასიათის იყო და, სხვა საპარლამენტო საზედამხედველო ინსტრუმენტების არსებობის ფონზე, არაეფექტიან მექანიზმად გვევლინებოდა. თემატური მოკვლევის ინსტრუმენტის ფუნქციების შეთავსებას უზრუნველყოფს წარმოდგენილი

რეგლამენტის პროექტით გათვალისწინებული დროებითი კომისიისა და სამუშაო ჯგუფის ფორმატები.

ა.დ) რეგლამენტის პროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

ეს ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის მიმართ.

ა.ე) რეგლამენტის პროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო რეგლამენტისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში – აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

იქიდან გამომდინარე, რომ ახალი რეგლამენტის ასამოქმედებლად დამატებითი ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო, ის 2025 წლის 1 ივლისს ამოქმედდება. რეგლამენტის პროექტი რეგლამენტისთვის უკუძალის მინიჭებას არ ითვალისწინებს.

ა.ვ) რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს რეგლამენტის პროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

ეს ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის მიმართ.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (რეგლამენტის პროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

იმ შემთხვევაში, თუ ახალი რეგლამენტის მიღება დამატებით ხარჯებს გამოიწვევს, ხარჯების დაფინანსების წყარო იქნება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი, კერძოდ, საქართველოს პარლამენტისთვის გამოყოფილი ასიგნებები.

ბ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, პარლამენტის წევრებს დაუკავდებათ შესაბამისი თვის ხელფასის 5% არა მხოლოდ პარლამენტის კომიტეტის სხდომის/პლენარული სხდომის დატოვების შემთხვევაში, არამედ აგრეთვე პარლამენტის ბიუროს სხდომისა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული დროებითი კომისიის სხდომის დატოვების შემთხვევაში, რაც ასეთი შემთხვევის დადგომისას დაზოგავს პარლამენტის ხარჯებს.

შესაბამისი პირების მიერ სხდომის დატოვების ფინანსური გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება ასეთ შემთხვევათა რაოდენობაზე.
ამასთანავე, ღია მმართველობის, ბავშვის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოების გაუქმება დაზოგავს პარლამენტის ასიგნებებიდან გასაწევ ხარჯებს.

ბ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, პარლამენტის წევრებს დაუკავდებათ შესაბამისი თვის ხელფასის 5% არა მხოლოდ პარლამენტის კომიტეტის სხდომის/პლენარული სხდომის დატოვების შემთხვევაში, არამედ აგრეთვე პარლამენტის ბიუროს სხდომისა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული დროებითი კომისიის სხდომის დატოვების შემთხვევაში, რაც ასეთი შემთხვევის დადგომისას დაზოგავს პარლამენტის ხარჯებს. შესაბამისი პირების მიერ სხდომის დატოვების ფინანსური გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება ასეთ შემთხვევათა რაოდენობაზე.
ამასთანავე, ღია მმართველობის, ბავშვის უფლებათა დაცვისა და გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოების გაუქმება დაზოგავს პარლამენტის ასიგნებებიდან გასაწევ ხარჯებს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, რეგლამენტის პროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

რეგლამენტის პროექტი არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია რეგლამენტის პროექტის განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, პარლამენტის წევრებს დაუკავდებათ შესაბამისი თვის ხელფასის 5% არა მხოლოდ პარლამენტის კომიტეტის სხდომის/პლენარული სხდომის დატოვების შემთხვევაში, არამედ აგრეთვე პარლამენტის ბიუროს სხდომისა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული დროებითი კომისიის სხდომის დატოვების შემთხვევაში, რაც ასეთი შემთხვევის დადგომისას შესაბამის პირებზე ფინანსურ გავლენას მოახდენს. ფინანსური გავლენის მოცულობა დამოკიდებული იქნება ასეთ შემთხვევათა რაოდენობაზე.

ბ.ვ) რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

რეგლამენტის პროექტი არ აწესებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე რეგლამენტის პროექტის ზეგავლენის შეფასება:

რეგლამენტის პროექტი არ ახდენს გავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

რეგლამენტის პროექტი არ ახდენს გავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:
გ.ა) რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება რეგლამენტის პროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს. რეგლამენტის პროექტის მომზადება არ არის დაკავშირებული ასეთ ხელშეკრულებასთან/შეთანხმებასთან.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება რეგლამენტის პროექტის მსგავსი კანონის იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული რეგლამენტის პროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი მიმოხილვა არ მომზადებულა.

ე) რეგლამენტის პროექტის ავტორები: შალვა პაპუაშვილი, მამუკა მდინარაძე, გიორგი ვოლსკი, თეა წულუკიანი, გიორგი კახიანი, ნინო წილოსანი, შოთა ბერეკაშვილი, მაია ბითაძე, გიორგი გაბუნია, არჩილ გორდულაძე, ირაკლი ზარქუა, რატი იონათამიშვილი, პაატა კვიჟინაძე, ზაზა ლომინაძე, დავით მათიკაშვილი, ლევან მახაშვილი, გივი მიქანაძე, გელა სამხარაული, ნიკოლოზ სამხარაძე, ვიქტორ სანიკიძე, ალექსანდრე ტაბატაძე, ირაკლი ქადაგიშვილი, ირაკლი მეზურნიშვილი, მარიამ ლაშხი, დიმიტრი სამხარაძე, რამინა ბერიძე, ირმა ზავრადაშვილი, ეკა ჭიჭინაძე, სალომე ჯინჯოლავა, დათო კოდუა, არჩილ ბერიძე, გრიგოლ აბესაძე, ირაკლი შატაკიშვილი, ალექსანდრე დალაქიშვილი, სავალან მირზოევი, ისკო დასენი, დავით შერაზადიშვილი, აკაკი ალადაშვილი, ზაალ დუგლაძე, ზაურ დარგალი, თორნიკე ჭეიშვილი, ლევან მაჭავარიანი, გიორგი გუგუჩია, ნოდარ ტურძელაძე, ვლადიმერ ბოჟაძე, ვლადიმერ კახაძე, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, ირაკლი ჭეიშვილი, გიორგი სოსიაშვილი, ლაშა ტალახაძე, ანტონ ობოლაშვილი, სუმბატ კიურეღიანი, ზურაბ რურუა, გრეტა წიწავა, ანზორ ბოლქვაძე, გიორგი ჩაკვეტაძე, ლიკა შარტავა, გიორგი ბარვენაშვილი, შოთა ხაბარელი, ირაკლი ხელაძე, თენგიზ შარმანაშვილი, თორნიკე ბერეკაშვილი, იმედა ნიკურაძე, ბეჟან წაქაძე, ვახტანგ თურნავა, ზვიად შალამბერიძე, გივი ჭიჭინაძე, ირაკლი კირცხალია, ალუდა ღუდუშაური, გოდერძი ჩანქსელიანი, გენო პეტრიაშვილი, გიორგი ხახუბია, გოჩა ენუქიძე, ედიშერ თოლორაია, გია ბენაშვილი, ვასილ ჩიგოგიძე, გიორგი ჭყონია, სამველ მანუკიანი.

ვ) რეგლამენტის პროექტის ინიციატორები: შალვა პაპუაშვილი, მამუკა მდინარაძე, გიორგი ვოლსკი, თეა წულუკიანი, გიორგი კახიანი, ნინო წილოსანი, შოთა ბერეკაშვილი, მაია ბითაძე, გიორგი გაბუნია, არჩილ გორდულაძე, ირაკლი ზარქუა, რატი იონათამიშვილი, პაატა კვიჟინაძე, ზაზა ლომინაძე, დავით მათიკაშვილი, ლევან მახაშვილი, გივი მიქანაძე, გელა სამხარაული, ნიკოლოზ სამხარაძე, ვიქტორ სანიკიძე, ალექსანდრე ტაბატაძე, ირაკლი ქადაგიშვილი, ირაკლი მეზურნიშვილი, მარიამ ლაშხი, დიმიტრი სამხარაძე, რამინა ბერიძე, ირმა ზავრადაშვილი, ეკა ჭიჭინაძე, სალომე ჯინჯოლავა, დათო კოდუა, არჩილ ბერიძე, გრიგოლ აბესაძე, ირაკლი შატაკიშვილი, ალექსანდრე დალაქიშვილი, სავალან მირზოევი, ისკო დასენი, დავით შერაზადიშვილი, აკაკი ალადაშვილი, ზაალ დუგლაძე, ზაურ დარგალი, თორნიკე ჭეიშვილი, ლევან მაჭავარიანი, გიორგი გუგუჩია, ნოდარ ტურძელაძე, ვლადიმერ ბოჟაძე, ვლადიმერ კახაძე, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი, ირაკლი ჭეიშვილი, გიორგი სოსიაშვილი, ლაშა ტალახაძე, ანტონ ობოლაშვილი, სუმბატ კიურეღიანი, ზურაბ რურუა, გრეტა წიწავა, ანზორ ბოლქვაძე, გიორგი ჩაკვეტაძე, ლიკა შარტავა, გიორგი ბარვენაშვილი, შოთა ხაბარელი, ირაკლი ხელაძე, თენგიზ შარმანაშვილი, თორნიკე ბერეკაშვილი, იმედა ნიკურაძე, ბეჟან წაქაძე, ვახტანგ თურნავა, ზვიად შალამბერიძე, გივი ჭიჭინაძე, ირაკლი კირცხალია, ალუდა ღუდუშაური, გოდერძი ჩანქსელიანი, გენო პეტრიაშვილი, გიორგი ხახუბია, გოჩა ენუქიძე, ედიშერ თოლორაია, გია ბენაშვილი, ვასილ ჩიგოგიძე, გიორგი ჭყონია, სამველ მანუკიანი.